აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლეგის ისტორიისათვის[1]

ჯემალ კარალიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: jemal.karalidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-7179-0455
ლევან ტარიელაძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: l.tarieladze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-8113-3347

აბსტრაქტი: კავკასია გამორჩეული გეოსტრატეგიული და სატრანზიტო მდებარეობის გამო ყველა დროში იყო და რჩება საერთაშორისო პოლიტიკის მნიშნელოვან ობიექტად. XVI საუკუნიდან ოსმალეთთან და ირანთან ერთად კავკასიაში გავლენისათვის ბრძოლაში აქტიურობას იწყებს რუსეთის სახელმწიფოც, რომელმაც კარგად გამოიყენა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი მისთვის ხელსაყრელი ვითარება: ძირითადი მეტოქეების დასუსტება, კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა დაქსაქსულობა, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დაკავებულობის მიზეზით ,,აღმოსავლეთის პრობლემისადმი“ გარკვეული პასიურობა და კავკასიის ასპარეზზე გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ რუსეთი როგორც სამხედრო მოქმედებებით, ისე დიპლომატური საშუალებებით აფართოებდა თავის გავლენას და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტიურად მთელი კავკასია იმპერიის საზღვრებში მოაქცია. რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა აფხაზეთის სამთავროც.

რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად შეუდგა ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და დემოგრაფიული ხასიათის ღონისძიებების გატარებას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მისთვის სტრატეგიულად და ეკონომიკურად დიდი მნიშვნელობის რეგიონის - კავკასიის ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, სრული ასიმილაცია და მისი იმპერიაში საბოლოო ინტეგრაცია. ამ მიზნით ცარიზმი გამიზნულად ცდილობდა კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლას. მისთვის ,,არასაიმედო“ მკვიდრი მოსახლეობის (რომელიც ხშირად სარწმუნოებრივადაც განსხვავდებოდა) აყრასა და გასახლებას და ამ ტერიტორიების ,,სანდო ელემენტით“ დასახლებას. ეს პროცესი აქტიურად შეეხო კავკასიის მკვიდრ ეთნოსებს: ადიღებს, აფხაზებს, ქართველებს და სხვებს. ამ საკითხში რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესები ძირითადად ემთხვეოდა.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით აფხაზთა გასახლების (მუჰაჯირობის) პროცესმა ორგანიზებული და მასშტაბური ხასიათი მიიღო. მხოლოდ 1867 წლის მუჰაჯირობის დროს მშობლიური მიწა-წყალი დატოვა თითქმის 20000 აფხაზეთის მკვიდრმა და ოსმალეთში გადასახლდა. აფხაზთა მუჰაჯირობის პროცესი ამის შემდეგაც გრძელდებოდა თვით პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით. აფხაზ მუჰაჯირთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა მიზეზით აჭარაში დამკვიდრდა. ცხადია მუჰაჯირად წასულთა ნაწილი ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ამის უფლებას აღარ აძლევდა. ასე აღმოჩდნენ სამშობლოდან დევნილი აიკუცბების, კუდბების, კიშინდბების, მუსხაჯბების, ჩაზმავების და სხვათა ნაწილი ზოგჯერ თვით დედმამიშვილებიც კი აჭარაში, ხოლო მეორე ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში. ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა

[1] წარმოდგენილი სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის "მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე (აჭარაში დასახლებულ აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მუჰაჯირთა შთამომავლებთან აჭარაში მცხოვრები აფხაზების ურთიერთობის 21-ე საუკუნის რეალობა)" NFR-21-33194) ფარგლებში.

ის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებს ურთიერთობის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით ვითარება შეიცვალა XX საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ნაშრომში საარქივო, საველე, პრესის მასალების საფუძველზე, ისტორიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შესწავლილია აჭარასა და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში

საკვანძო სიტყვები: კავკასია, ოსმალეთი, რუსეთი, აფხაზთა მუჰაჯირობა, აფხაზები აჭარაში, მუჰაჯირთა შთამომავლები.

* * *

შესავალი: XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის გაბატონებას გარკვეულ გარეგნულ დადებით მოვლენებთან (საგარეო საფრთხის შეზღუდვა, შინაფეოდალური დაპირისპირების აღკვეთა, პროგრესული ეკონომიკური ღონისძიებები) ერთად, მკვეთრად უარყოფითი შედეგებიც (კავკასიელთათვის უცხო ადმინისტრაციული და სამართლებრივი სისტემის დამკვიდრება, კოლონიური საკადრო პოლიტიკა, ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული და რუსეთისთვის არასანდო მკვიდრი მოსახლეობის მიზანმიმართული მასობრივი დევნა და დეპორტაცია - მუჰაჯირობა) მოჰყვა. აღნიშნული შედეგები რადიკალურად განსხვავდებოდა XVI საუკუნიდან კავკასიის ასპარეზზე გამოჩენილი რუსეთის სახელმწიფოს დაპირისპირებისაგან.

XV-XVI საუკუნეებიდან კავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში ოსმალეთთან და ირანთან ერთად თანდათან აქტიურად ჩაება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფოც. მონღოლთა ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებული რუსეთი ესწრაფოდა სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ პრობლემის გადაჭრა პირდაპირ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების გაძლიერებასთან. ამ მიმართულებით აქტიურობისაკენ რუსეთს უბიძგებდა როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები. რუსეთის გააქტიურება კავკასიის ასპარეზზე დაემთხვა პერიოდს, როცა ფეოდალურ სამფლობელოებად დაქუცმაცებული კავკასიის ხალხებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ ოსმალეთისა და ირანის მზარდი აგრესიის შეჩერება და შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს საგარეო მოკავშირის ან მფარველის მოძიებაში ხედავდნენ. იმ ეტაპზე რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ინტერესები ემთხვეოდა, რამაც განსაზღვრა მათ შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. რუსეთის გამოჩენას კავკასიის ასპარეზზე განსაკუთრებული იმედით შეხვდნენ ქრისტიანი ქართველები და სომხები. ამ ურთიერთობებმა მეტად რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. XVIII საუკუნეებიდან გამოიკვეთა რუსეთის უპირატესობა, რასაც ხელი შეუწყო ძირითადი მეტოქეების დასუსტებამ, ისე ევროპის დიდი სახელმწიფოების პასიურობამაც. XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით და ყირიმის სახანოს შეერთებით, რუსეთმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა კავკასიაზე გავლენისათვის ბრძოლაში. ამიერიდან რუსეთი დიპლომატიითა თუ იარაღის გამოყენებით თანმიმდევრულად აფართოებდა და განამტკიცებდა თავის პოზიციებს კავკასიაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან დღის წესრიგში დადგა რუსეთისა და აფხაზეთის სამთავროს ურთიერთობის საკითხი. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შავი ზღვის აუზში გაბატონებულმა ოსმალეთის იმპერიამ გამოიყენა საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტორი და მისი დასავლეთი და სამხრეთი ტერიტორიები, მათ შორის აფხაზეთიც თავის გავლენას დაუქვემდებარა. XIX საუკუნის დამდეგისთვის აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა. აფხაზეთის მთავარმა ქელეშ-ბეგ შარვაშიძემ გაითვალისწინა რა ოსმალეთის იმპერიის ღრმა

კრიზისი და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ დაპყრობის შედეგად კავკასიაში შექმნილი რადიკალურად შეცვლილი ვითარება, 1806 წელს რუსეთის ხელისუფლებას მფარველობაში მიღების თხოვნით მიმართა. ლიხნის სახალხო კრებამ ქელეშ-ბეგის წინადადებას მხარი დაუჭირა. მალე დაიწყო ოსმალეთ-რუსეთის 1806-1812 წლების ომი, რასაც აფხაზეთში ვითარების გამწვავება მოჰყვა. ძალაუფლების სურვილით შეპყრობილმა ასლან-ბეგმა მამა - ქელეშ-ბეგი 1808 წელს მოკლა და მთავრის ტახტი დაიკავა, მაგრამ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში აქტიურად ჩაერია რუსეთი. 1810 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I ქელეშ-ბეგის ვაჟი საფარ-ბეგი (გიორგი) შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად დაამტკიცა. ამით ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლა.

მეთოდოლოგია: კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ტიპის მეთოდები: წყაროს ანალიზი, შედარებითი, სისტემური ანალიზის, შედარებით-ისტორიული, ლოგიკური, ლინგვისტური და სხვა.

დისკუსია: რუსეთის დესანტმა 1810 წლის 10 ივლისს დაამარცხა სოხუმში განლაგებული ოსმალური გარნიზონი და ქალაქს დაეუფლა. ოქტომბერში გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, მან დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე, რითაც გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები 1960:140 ; დუმბაძე 1957: 215-223) .

ოსმალეთის ხელისუფლება დაჟინებით ცდილობდა აფხაზეთის დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც რთულ ვითარებას. 1821 წ. მთავარი გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. რუსეთის მხარდაჭერით მთავრის ტახტი გიორგის არასრულწლოვანმა ვაჟმა დიმიტრიმ დაიკავა (1821-1822 წწ.). მაგრამ მალე იგი ბიძის, ასლან-ბეგის დავალებით მოწამლეს. რუსეთის მხარდაჭერით მთავარი გახდა გარდაცვლილი მთავრის ძმა მიხეილ შარვაშიძე(1823-1864 წწ.) მისი ხელისუფლება მუდმივად განიცდიდა ოსმალეთის მომხრეთა თავდასხმებს, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ იმ სიძულვილით, რომელსაც ცარიზმის პოლიტიკა იწვევდა აფხაზ ხალხში (წურწუმია 2012:116) .

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამის მიუხედავად, 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვა-შიძის ღალატის გამო, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ეს შუამდგომლობა არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. რუსეთის გეგმა, შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. მისი განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მიწისმფლო-ბელი მკვიდრი მოსახლეობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (Дзидзария 1982:250-252). ამიტომ ალექსანდრე II მიიღო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზეთში რუსული მმართ-ველობის შემოღების გადაყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48) . თუ რა მიზანი ჰქონდა ცარიზმს აფხაზეთში, ცხადყოფს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლკ-მირსკის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის კარცოვისადმი 1864 წ. გაგზავნილი წერილი: ,,თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“ (ჯანაშია,1988:7).

1864 წ. 12 ივლისს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გადაასახლეს. იგი იქვე 1866 წ. გარდაიცვალა, საიდანაც ანდერძისამებრ აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა, 2011:280-284).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომე-ლიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. მოხელეთა მხრიდან ადგილობრივთა თავისებურებებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობამ თანდათან აფხაზთა უკმაყოფილება გააძლიერა. აჯანყება 1866 წ. 26 ივლისს სოფ. ლიხნში დაიწყო. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონის-

ძიებები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების ხელისუფლებისათვის სასურველი დასაბუთებაც. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მიუთითებდა: ,,არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად. ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გასახლება“ (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 23).

აფხაზთა გადასახლების პირველი ტალღა განხორციელდა 1867 წელს. მთავრობამ ,,გეგმა“ ბოლომდე მაინც ვერ შეასრულა - დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად ოსმალეთში გადასახლდა 3358 ოჯახი, მთლიანობაში 19.342 სული (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 205-250; ხორავა 2011:73). სამწუხაროდ, აფხაზთა გადასახლების პროცესი ამით არ დასრულებულა. რუსეთს სურდა ახლად შეერთებული მხარე ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც აეთვისებინა, რათა იგი იმპერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გადაექცია. აღნიშნულის მისაღწევად რისთვისაც აუცილებელი იყო რეგიონის ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია. სწორედ ეს იყო კავკასიის არაერთი ერის, მათ შორის აფხაზთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების - მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

მშობლიური მიწიდან განდევნილი აფხაზები ოსმალეთისკენ დაიძრნენ. აფხაზეთიდან გადასახლებულები ძირითადად სახლდებოდნენ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში, მათ შორის ამჟამინდელი სირიის, იორდანიის, თურქეთის, ეგვიპტის და სხვა ტერიტორიებზე. მუჰაჯირთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო დამკვიდრდა აჭარაში. აფხაზთა პირველი დასახლებები აქ გაჩნდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭიჭინაძე 1912:169).

აფხაზები აჭარაში თავიდანვე ქობულეთ-სარფის ზღვისპირა ზოლში სახლდებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1878 წელს აჭარა რუსეთის ხელთ აღმოჩნდა, მათი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა, ნაწილი კი თურქეთის სიღრმეში გადავიდა საკუთარი ნებით, ან იძულებით განიდევნა რუსეთის ხელისუფლების მიერ. აფხაზთა ჯგუფები დარჩა ბათუმის სხვადასხვა უბანში (ბარცხანაში, „გარადოკში“, „პივზავოდის“ უბანში) და ბათუმის ახლომახლო მდებარე ქართულ სოფლებში: ფერიაში, ურეხში, მნათობში, სალიბაურში, ქვედა სამებაში, ანგისაში, მინდაში, ადლიაში, კახაბერში, ჭარნალში... აქ დასახლებულ აფხაზებს დროდადრო ემატებოდნენ თურქეთის სიღრმიდან წამოსული სამშობლოში დაბრუნების მოსურნე აფხაზებიც (აფხაზები აჭარაში, 2018:26).

ასე შეიქმნა პირველი აფხაზური დასახლებები აჭარაში: ნურიის უბანში, ანგისაზე, სოუქსუზე, სალიბაურში, ჩელტაში, ადლიაში, გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში და ა.შ. ჯიფორდ პალგრევის ცნობით, 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ აჭარაში დაახლოებით 10000 აფხაზი და ჩერქეზი ცხოვრობდა. მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა და სტატისტიკაც იცვლებოდა, მაგრამ აფხაზთა ძირითადი დასახლების ადგილი ბათუმი და მისი შემოგარენი იყო, ფაქტობრივად, ასე რჩება დღემდე.

გადმოსახლების დროისა და სადაურობის მიხედვით, აჭარაში მცხოვრები აფხაზები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომელთაც ზუსტად არ იციან, როდის და საიდან გადმოსახლდნენ;

ბ) რომლებიც XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. I ნახევარში გადმოსახლდნენ - ამ შემთხვევაში გადმოსახლების მიზეზი პირადულ-ყოფითი ხასიათის იყო - მაგ. კონფლიქტი მეზობელთან (მკვლელობა, მაგ. ფერიელი ჩამბების შემთხვევაში), ან ქალის მოტაცება (მაგ. ჭარნალელი აკვაზბების შემთხვევა);

გ) ვინც მუჰაჯირობის დროს XIX ს. 60-70 წლებში გადმოსახლდა აჭარაში (ასე მიიჩნევს აჭარაში მცხოვრები აფხაზების ძირითადი ნაწილი);

დ) ვინც იცის გადმოსახლების კონკრეტული წელი, ადგილი, თუ უშუალოდ ვინ გადმოსახლდა და ა.შ. (მაგ., ანზორ კუდბას შემთხვევაში - 1864 წ. სოჭის მხრის კუდებსტადან რუსეთთან წინააღმდეგობის გამო წამოვიდა სამი ძმა, მათგან ორი დამკვიდრდა აჭარაში, ფერიაში, ხოლო მესამე ძმა

ქერიმი თურქეთში წასულა; ზაურ ასაძბას შემთხვევაში- 1896 წ. აჭარაში გადმოსახლებულა ალი საძბა, ბზიფის ხეობიდან...)(აფხაზები აჭარაში, 2018:28).

აჭარაში დამკვიდრებული აფხაზების მდგომარეობა არ იყო მშვიდი - 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს არაერთ მათგანს მეორედ მოუხდა მუჰაჯირად წასვლა. (შემდეგ - პოლიტიკური კატაკლიზმები, რევოლუციები). ქალაქის განაშენიანების საბაბით, ხელისუფლება მოითხოვდა მათგან შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი - სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

აფხაზებს ოდითგანვე ჰქონდათ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მჭიდრო მოყვრულ ურთიერთობებში გადაიზრდებოდა. მაგ. ჭარნალში მცხოვრებ აკვაზბებს 20-მდე ქართული გვარის წარმომადგენლებთან ჰქონიათ მოყვრობა: კვირიტიძე, გოგიტიძე, ბექთაშვილი, რიჟვაძე, კაკაბაძე, ფევაძე, კახიძე, აფაქიძე, დუმბაძე, სურმანიძე, ლომაძე, მალაყმაძე, სირაბიძე, ხაჯიშვილი, ვარშანიძე, ჩერქეზიშვილი, ხალვაში, გორგილაძე (აფხაზები აჭარაში 2018:29).

2023 წლის აგვისტოში თურქეთის რესპუბლიკაში მოწყობილი ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალების მიხედვით იმავე სოფ. აქბალიქში მცხოვრები მუჰამედ კაიტამბას წინაპრების გადასახლების ისტორია განსხვავებულია - მუჰამედის წინაპრები თავდაპირველად ბათუმში დასახლებულან, მაგრამ შემდეგ კაიტამბებსა და მუსხაჯბებს შორის მკვლელობა მომხდარა. კაიტამბებს შერიგების პირობად მუსხაჯბების ქალიშვილის მითხოვება მოუთხოვიათ, მაგრამ უარი მიუღიათ. დაახლოებით XIX საუკუნის მიწურულს მუჰამედის დიდი ბაბუა ოსმან კაიტამბა და მისი უფროსი ძმა იუსუფიც ოსმალეთში წასულან და ამჟამად მათი შთამომავლები თურქეთში ცხოვრებენ...

გადასახლების საინტერესო სიუჟეტს გვიამბობენ ბათუმში მცხოვრები ანზორ და მუჰამედ კუდბები: რომ 1864 წელს სამი ძმა - ვაზა, ტუკი და ქერიმ კუდბები ჯერ ხმელეთის გზით, ბათუმის გავლით ოსმალეთში გადასულან. მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებულან. რა იყო მათი დაბრუნების მიზეზი? ყველა კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, მაგრამ რესპოდენტთა უმრავლესობის ხაზგასმით მუჰაჯირად წასულთა დიდი ნაწილი შემდეგ ცდილობდა უკან აფხაზეთში დაბრუნებას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება უპირატესად უარს ეუბნებოდა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოხდა, მაგრამ შედეგად ვაზა და ტუკი ბათუმში დარჩნენ, ხოლო ქერიმი კვლავ ოსმალეთში დაბრუნდა, იგი დასახლებულა იზმითის რაიონის სოფ. ყარადერეში, სადაც მისი შთამომავლები თავანის გვარით დღემდე ცხოვრობენ. 2023 წლის ექსპედიციის დროს ჩვენ პატივი გვქონდა შევხვედროდით ქერიმის შთამომავლებს - იბრაიმ და მუსა კუდბებს (მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე, 2025:48-49).

მუხამედ კუდბას გადმოცემით ამჟამად კუდბები აფხაზეთში აღარ ცხოვრობენ, აჭარაში კუდბების 11 ოჯახია, ხოლო თურქეთში 80 ოჯახზე მეტი. საბჭოთა პერიოდში ნათესავებს შორის არანაირი ურთიერთობა არ ყოფილა. პირიქით, უცხოეთში ნათესავის ყოლის ფაქტიც კი სახიფათო იყო. აფხაზი მუჰაჯირების ამ მძიმე ისტორიის გავლენა მათ შთამომავლობაზე დღემდე იგრძნობა. ისინი სევდით და ძუნწად საუბრობენ წინაპრების მძიმე თავგადასავალზე. მუხამედ კუდბას თქმით, როცა საზღვრები გაიხსნა 1989 წელს, თუნჯაი საქკოლს (კუდბას, ასე იწოდება დღეს თურქეთში მცხოვრები კუდბების ერთ- ერთი შტო) წერილი გამოუგზავნია, ხოლო 1990 წელს მუხამედი ეწვია ნათესავებს ადაბაზარში. 1992 წელს თუნჯაი საქკოლი ყარადერელ ატრუჟბასთან ერთად ჩამოსულა აჭარაში. ეს ურთიერთობები დღესაც გრძელდება.

ბათუმში მცხოვრები კიშინდბების გადმოსახლების ზუსტი თარიღი უცნობია - გვითხრა შეხვედრისას ჯამბულ კიშინდბამ. კიშინდბები ცხოვრობდნენ ბზიფის ხეობის გაგრის რაიონში. კავკასიური ომის დამთავრების შემდეგ, 1864 წელს, აფხაზეთიდან წასულთა შორის ყოფილან 4 ძმა კიშინდბა, რომლებიც ადაბაზარში დასახლებულან. შემდეგ ერთ-ერთი ძმა, ჯამბულის დიდი ბაბუა - ახმედი გამოუგზავნიათ ბათუმში სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობის დასაზუსტებლად. ახმედს შეუძენია მიწა ადლიაში, დაოჯახებულა და დარჩენილა აჭარაში, ხოლო ოსმალეთში დარჩენილი სამი ძმის ჩამოსვლა, მით უფრო სამშობლოში დაბრუნება ვეღარ მოხერხდა. კიშინდბე-

ბი თურქეთში იმთავითვე შეძლებული და გავლენიანი ხალხი ყოფილან. საბჭოთა პერიოდში ბათუმელ კიშინდბებს თურქეთში მცხოვრებ ნათესავებთან ურთიერთობა არ ჰქონიათ. 1989 წელს, საზღვრის გახსნის შემდეგ ბათუმში ჩამოსულა თურქეთიდან ცნობილი მოჭიდავე შამბა,რომელსაც მოუყოლია ბათუმელ აფხაზებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომ თურქეთში კიშინბაის გვარი ძალიან განთქმულია-ო. იმავე 1989 წელს ნათესავების მოსანახულებლად და გასაცნობად წასულა ჯამბულის მამა - ნაზიმ კიშინდბა მეუღლითურთ. იმ დროიდან მოყოლებული ეს ურთიერთობები გრძელდება. ბათუმის გავლით წასულან მუჰაჯირად მუსხაჯბებიც. ერთ-ერთი ძმა ხუსეინი დარჩენილა ბათუმში, შეუძენია დიდი მამული ფერიაში და დამკვიდრებულა აქ. ბატონი ნიაზ მუსხაჯბას დახმარებით ჩვენ გვქონდა ვიდეო ჩართვა საქარიაში მცხოვრებ მუსხაჯბების (ამჟამად თურქეთში 30-მდე მუსხაჯბას ოჯახი ცხოვრობს, მათი გვარი ამჟამინდელი ყოფილა უღური) წარმომადგენელ ემრე უღურთან 2024 წლის 26 აგვისტოს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბათუმში მცხოვრები აიკუცბების თავგადასავალი და მათი აჭარაში დამკვიდრების ისტორია. ქალბატონების , ლიანა და თამილა აიკუცბების გადმოცემით, მათი დიდი ბაბუა - ოსმან აიკუცბა ჩამოსულა თურქეთიდან აჭარაში დის - მადინას მოსანახულებლად. მას ამ დროისთვის თურქეთში ჰყოლია ოჯახი. სწორედ ამ დროს ჩაკეტილა საზღვარი (თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საზღვარი ჩაიკეტა 1936 წელს - ავტორები). ბატონი ოსმანი ვეღარ წასულა თურქეთში და აქ მეორედ დაოჯახებულა. მუჰაჯირთა შთამომავლების გულთბილი და ძალზე ემოციური შეხვედრების შესახებ აჭარასა და თურქეთში გვიამბეს ჩვენმა რესპოდენტებმა: ქალბატონებმა ადა ქუთელიამ, ზაირა ჩაზმავამ, თამილა აიკუცბამ, ჯუნა კიტაზბამ. ბატონებმა მუხამედ კუდბამ, ჯამბულ კიშინდბამ, ნიაზ მუსხაჯბამ და სხვებმა.

მსგავსი დამოკიდებულების არაერთი ფაქტი დააფიქსირა ჩვენი პროექტის მკვლევართა ჯგუფმა 2023 წელს თურქეთის რესპუბლიკაში (საქარიაში) ჩატარებული ექსპედიციის პერიოდში. მაგალითად, აქიაზის ილჩეს სოფელ ბალბალში გიულქან თაშის (მისი აფხაზური გვარია ჰაგუშ(ი)) ოჯახში სტუმრობისას: თბილად მიგვიღეს, გაგვიმასპინძლდნენ. ამ სოფელში მცხოვრები აფხაზური თემი (300 ოჯახი) ინარჩუნებს წინაპართა ტრადიციებს, საქმიანობის დარგებს. როცა წამოსვლისას ეზოში სამახსოვროდ ფოტოც გადავიღეთ, ცრემლმორეულმა მასპინძლებმა საქართველოში მოკითხვა დაგვაბარეს -აფხაზებთანაც და ქართველებთანაცო. ამან ჩვენზე ძალიან იმოქმედა, ვაღიარეთ, რომ ზოგიერთი სკეპტიკოსის მიუხედავად, ჩვენს ურთიერთობებს პერსპექტივა უეჭველად აქვს ...

ასევე შთამბეჭდავი შეხვედრა გვქონდა ერენლერის ილჩეს სოფელ კაიალარმემდუჰიეში. ამ ერთ სოფელში 250-ზე მეტი აფხაზური ოჯახი ცხოვრობს, 37 სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი... სოფლის ცენტრში შეკრებილები დაგვიხდნენ... ემოციური საუბარი გამოგვივიდა... მანქანისაკენ მიმავლები ჩვენმა მასპინძლებმა აფხაზური სიმღერით გამოგვაცილეს... თურქეთში შეხვედრების შეხვედრების ამ ფაქტებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ გარე ძალების პროვოცირებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს, რაც მომავლის იმედს გვისახავს.

ასევე იმედის მომცემია აჭარასა და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ურთიერთობები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

სცსსა, ფ. 416, ს.177 - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177.

სცსსა, ფ. 545, ს. 91 - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე 91 .

აფხაზები აჭარაში 2018: აფხაზები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი

წურწუმია, 2012: - წურწუმია ზ. , აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბილისი.

ჯანაშია, 1988 : - ჯანაშია ს. , გიორგი შარვაშიძე, შრომები, VI, თბილისი.

ჭიჭინაძე, 1912 : - ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში., თბილისი
Дзидзария , 1982: - Дзидзария Г. , мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия , Сухуми.
Очерки истории абхазскои АССР , 1960 : - Очерки истории абхазскои АССР , ч.1, Сухуми.
დუმბაძე, 1957: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი
ხორაა, 2011 : ხორავა ბ., აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, თბილისი
მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე, 2025: მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე, ბათუმი